

კარი 2 გაისი

თარი 10 ბაზ.

# კარი

— სალამური

18

შოთა კერძო იური. ურნავი.

ქართველი ინტელიგენცია.



მსხვერპლი მამულის წინაშე!

ლიფრი ხავია ს. ბიბოვისა.

## პატარა \*) ფელიქონი.

საგანგებო. არება.

ქართველი საზოგადოება ფეხზე დადგა! ოჩილ ჯორჯაძის ოცნება საქმეთ იქცა: ქართველი ერი შეერთდა! ერთ და ბერი, მღვდელი და ლიკონი, თაცედი და გლეხი, მუშა და წარმოებელი, ყყელანი ერთი აზრით, ერთი გრძნობით გამსჭვალული, ერთვარ ღრმათ ჩაიქარებული, ერთვარ მოუთმენელი და ჩემი მოლევარებით შეპყრობილი!

რა მოხდა? რა მატევია?

იქნებ ფიქრობთ, გედევანოვის იუბილე იყოს მიზეზი ამ შეერთებისა? ან გვინიათ ტერიტორიის საკითხი ან იქნებ წერა-კითხების საზოგადოებაზე ფიქრობთ? ან ქართულ თეატრზე? არა და არა! ღრმა შეცდომაშია ცყველი ასე მოაზრე! საქმე უფრო მძიმე და სერიოზულია.

6 მაისს, დილის ქადაგში საათზე გალლეს კომეტა მიწას უნდა დაეჯახოს!

განადგურება ბულეველია! ფლამარიონის აზრით: ან სიცილ-ხარხაში უნდა დავლიოთ უკანასკნელი წუთები დღენის ჩერინის ცხოვრებისანი, ან მწარე ტანჯვასა და გოლებაში, როგორც ეს ბ 6 „სიტყვას“ სჩევენია.

და ია დღევანდელი უჩევულო, ანუ საგანგებო კრებაც ამ უჩევულო მოვლენამ გამოიწვია, ამან შეასხა ფრთხები ჯორჯაძის ოცნება.

კრების მხარისა: გამონახოს რამ საშვალება, მაულის განსაცდლიდან გადასარჩენათ.

ჩინებული განზრახვაა!

— ბ-ნებო! დაიწყო კრების თავშვალმარე, ნიკო ნიკოლაები, — ჩერინი ქეცენის კეთილდღობა დიდი განსაცდელშია! ხუთით დღე და ჩემს დაწყებულებათაგან თოქმის აღარავერი დარჩება! ფოთის ნაფოსადგური გაცარტვერდება, საფუთო გადასახადი მოისცობა! საჭიროა გაიგზავნოს ვინმე პეტერბურგს ამ საქმის გამოსარკვევათ.

ხალხში ჩინქოლი შეიქნა.

— ბ-ნებო! იქნებ პეტერბურგში წასვლა საჭიროც იყოს, დაიწყო ზდანოვიჩმა, მაგრამ ახლა ამისი ღრმა აღარ არის, არ მოეწრობა. ჩემის აზრით საჭიროა კომეტას საკუთარი ძალლონით შევცდეთ და უკუ ვაკითოთ. შეი ქვის საბჭო თავის წარმმადგენლათ ნიშანებ ჩერინ მიერ ახლად შეძნილ საფრენ მანქანას, „სამქვარიანს“.

ალეში კვალად უიმედობის ხმები გაისმის.

— პატიცუემულნო ქართველნო წარჩინებულნო და უწარჩინებულნო! როგორც წარმომადგე-

\*) ბოლიშ ვიზი პატიცუემულ მკითხველებთან, რომ „პატარა“ დალერონი ეგრე გამოზრდა. ას იზამთ, საკითხი შეტო მწვავე და მნიშვნელოვანი.

ნელს თფილისის თავად-აზნაურობისას უემ-ზაქვეს წინადადება: ოჩეულ იქნას კომისია ხუთი კაცია-გან, რომელიც გზედ შეეგებება კომეტას და გამოუხადებს ქართველი ხალხის უძვეშეტრომილეს გრძნობებს. წმინდა ქართველი კილოთი წარმოსაქვა პავლე თუმანიშვილმა.

„ეგ ზღაპარია“, გაისმა უკმაყოფილო ხმა ხალხისა. მხოლოდ აზნაური ვასილ ხუნდადე იყო მისი თანახმი იმ შეტრონებით, რომ თან პურ მარილიცა და საელექსიო დროშებიც გამოეტანოთ.

— ამხანაგილო და მოქალაქენო! დაწყო გაზოთ, „სხივის“ წარმომადგენელმა, — ერთად ერთი გზა ხიფათის ასაცდენათ ეს არის სახელმწიფო დუმაში შეკითხების შეტანა კომეტის მოქმედების შესახებ. ვაცნობოთ ჩერინს დეპუტატებს, რომ დაუყონებლივ აღსძირან ეს საკითხი.

ხალხში კვალად უკმაყოფილო ჩოჩქოლია!

— ჩერინ დიდის სიმონენბით მიგაშვიდოთ საჭირო ცნობებს ამის შესახებ, წარმოსახება მედილურმა ი. ილლაძემ გაზ. „დროების“ სახელით.

— მხოლოდ ერთის პირობით, ჩერინია აზილ ჯორჯაძე, — მე ფორულობ, რომ დეპუტატებმა ილაპარაკონ ქართველი ერის სახელით, მხოლოდ მაშინ ექნება მათ შეკითხვას მნიშვნელობა.

გაისმის ყრუ უკმაყოფილება ხალხისა.

— ეი ხალხნო! დაიგრევინა გიორგი ამირა-ჯიბა, — თუ ეს არ იქნება ეთიკის წინააღმდეგი და თუ მე კინიას შემეტერება კომეტან ბრძოლა, გმირ შეით მარტო, მე გაჩვენებოთ თქვენ ჩემს ძლიერებას.

— ჩინებული აზრია, ჩინებული! გამოიძახენ ნ. კალაძეა და გრიგოლ დიასამიძე

აქა-იქ სიცილი და აქა იქ უკმაყოფილება გაისმა. ტრიბუნაზე მწერალი „სიტყვა“. გამოჩნდა.

— ბატონებო! „დღიური“! ჩერინ ტყვილათ ვიწევებთ თავს, ჩერინ არაფერი გვეშველება! „დახეთ იმ რჯაბ დაქცეულსა! თავ-პირ დაუბანელნი, თმა დაუვარცხნელნი ვართ, ეგეთი უზრდელობა როგორ იქნება? „დღიური“! „ათასის სიბილშით ვართ იღვილნი! გულს ჩერინსას ბოროტება დაბატონებია! სული ჩერინ გარყვნილია!“ ბატონებო! „დღიური!“ მონანი და პოლიტიკური არარანი ვართ! შიშისაგან გარეთ ვერ გამოვდიდართ! გაბედულიათ ხმას ვერ ვიღებთ! ათას ხერეულში დავძრებებით! უველა წმინდანებს ვგმობთ! არ არის ღალატი, რომ არ ვიყის როთო! არ არის უსინდისობა, რომ არ შევისებლოცით! ბატონებო! .. „დღიური!“ საზიანორი წუმ პე. სიბილძრისა...

ხალხში უკმაყოფილება იზრდება, გაისმის: არ გვინდა, რას მიედ-მოედება! გაჩუმდეს, გაჩუმდეს!..

— ბატონებო! „დღიური!“ ზღვას რძით ვავს სები, უდაბნოს სამოთხეთ გადავაძევდეთ! ზამთარს გავეჭრობდი, შემშილა მოვს ..

უკმაყოფილება უმაღლეს წერტილამდე აღწევს და ბ ნი „სიტყვა“ გაპყვავს ქაიხოსრო ქაფთარაძეს.

ტრიბუნაზე გრიგოლ რობაქიძე გამოჩენდება ხალხი წყნარდება.

— ბ-ნებო და ბ-ნებო! ლექცია! განსაცდელი თავისი რეალური განსახივრებით კარს გვადგას! ყველანი კურთხოთოლავა და ცერტით ჩვენი „წარმავალ მეს“ ინდივიდუალ უყოფლობისა გამო. გარნა არ იცით, რომ არსი ყოველი არს ქვევით ყოფილი და კვეთილი, რამეთუ შთელსა ქნის ნაწილთა სახიერება საერთო განწყვეტებაში? სინტერიურ-ანალეტი ური ანსახივრება ეროვნული სულისა შეადგენს წირუვალ მეს და არავითარ კომეტას ძალუბს წარ ხოცა მისი. საჯდომი იმა სულისა...

მსმენელთა შორის უყმაყოფილებამ იმატა! რობაქიძეს ლექცია შეაწყვეტის. ტრიბუნაზე კიტა აბაზიძე გამოჩნდა.

— ბ-ნებო! მე მსუსა განგიმარტოო სურვილი ჩემს უწინარეს ორატორისა. ჩვენ არ დავუშმინეთ მას ეოჭეა პოლო სატყვისა. სურვილი მისია მოხდეს გასამართლება კომეტისა ქართულ თეატრში!..

— საჭიროა, საჭირო, მაგრამ უთუოდ უნდა იყოს როგორც დამცველი, იგრეთვე ბრალმდებელი, შენიშნა კ აზარიძემ. ქვეყნაზე არ გაემნილა სამსჯავრო, რომელსაც...

— ბ-ნებო! მე მაონია კომეტა არც იმდენათ უგულოდ და სასტიკა, რომ ჩვენს ახალ ცხოვრებას არ მიაქციოს უურადღება! ეს ეს არის დავბეჭდე ჩემი „ერი და კაციბრიობა“. უსინდისობა იქნება მისი მხრით. .

აღარ გათავების სიტყვა პატივებმულ ქართველ სოციოლოგს Batoni ს.

ბევრი, ძლიერ ბევრი მოსაზრება გამოითქვა მოსალოდნელი უცელურობის შესახებ. მაგრამ ხალხი ვერაფერმა ან უგეშა, წყლულს მალამი ვერავინ ვამოუნაა. მცვლლები უცვირდენ უსასყიდლოთ, ან მცრავ სასყიდლო სამართლი ზრდის რეას და ლოცვა ვერდებას; ინუნციები ფიქრობდენ რაიმე საფრენის მოგონებას, რომლითაც მოსახურებდელი ყოფილიყო მასში გადასცვა; ბოქაულებმა აღუთქვეს სტრაჟნიკების საშველებით მისი დაჭრა; ერთმა იზურგებულმა აზნაურმ კომეტის დაწვა აღუთქვა ხოლო გუნიძე დათობაც კი ურჩია იმისი, მაგრამ ყოველივე ეს აგვშვრი და შეუწყნარებელი გამოდგა.

ი ამ დროს გამოვიდა სცენაზე ოქვენი უმორჩილესი მონა!

— ბ-ნებო! მესმის მე თქვენი გულის წუხილი, თქვენი მოოქმა გოდება! მძმევა განსაცდელი, მაგრამ არა ისეთი, რომელსაც არაფერი ეშველებოდეს. გთხოვთ მცირე უურადღებას და მოამინებას.

ხალხი დაწყნარდა, ყურადღება გაიზარდა.

— ბ-ნებო, ჩვენ ხმოლოდ ერთ გზა გვაქვს და ერთი საშველება უბედურობის ასაცენათ. ამისათვის არ არის საჭირო არც პეტეტურგას ჩბენა, არც პატივი ფრენა, არც კომეტის წყენა, არც დევნით მოლხენა საჭიროა დავთოანხმოთ... გემისთ ბ-ნებო, საჭიროა დავითანხმოთ მხოლოდ გიორგი

გვაზავა! დიახ, საჭიროა დავითანხმოთ გიორგი გვაზეა და დავვეალოთ მას, რომ ნ მაისს, დილის ნ საათზე, ფრაკითა და ცილინდრით გამოწყობილი ავილეს მახათას გორაზე.

,მერმე! მერმე!“ გაისმა ხალხის გრიალი“, განაგრძეთ, განაგრძეთ!“

— მერმე, ბ-ნებო, თან იქონიოს თავისს ლექ-სთა კრიბული და როგორც კი გამოჩენდება კომეტა, მარტენა ფეხის წვერზე შემდგარმა მისებურათ წაუკითხოს დაუპატივებელ სტუმარს და სრული იმედი გქონდეთ, რომ კუდიანი ვარსკელავი არც ისე სულელია, მას უყრი უგდოს და სმენა მოიწმოლოს. ის მყისვე იბრუნებს პარსა და ცის უფსკრულში ჩინთქმება.

ხალხის აღტაცებას საზღვარი არა ჰქონდა. მქუსარე ტაშმა დამჭარა ჩემი უკანასკნელი სიტყვები.

პაშინვე დაიყოლებს ბ-ნი გ. გვაზავა ამ წინა-დადებაზე და დღეს ქართველი ხალხი გულ დამშე-დებით მოქალის ნ მაისის დილას

ვაი იმ ხალხს, ვისაც ასეთი მეოსნები არა ყავს!


ეშვაკი.



## სიმღერა

ჩემი სევდისა გამოთქმა,  
ჟეულინ განა პ-რსა?  
ჩავეკრძნილვარ უფსკრულ ზღვაში,  
ვერ გასულვარ განაპირსა!  
ცისმარე დღეს ცრემლი მაღრჩიბს,  
აღარ მისნის დანა პირსა,  
ვაი, ჩემი სიყმაწვილევ!  
რით მისრულებ დანაპირსა!..

ბ ლაზაშვილი.



၁၃၀၆၈ ၂၀၆၃



## დაგჭვიდების ღლევზე

(თარგმანი)

„ქ. პუდოვის მცხოვრები, ძალთა გადაკიწვლის ხანაში, ვალეგბულნი არიან: კურადღება შიაქციონ თავისთ ძალებს და ქუჩებში არ გამოუშონ ისინი.

გუბერნ. ნ. პროტასიევი“.

რევოლუცია კარგა ხანია დასტრა ქ. პუდოვში და მომახმარებელი სინდისი მუდამ ამას ჩასახოდა ადგილობრივ აღმინისტრაციას:

— აღარაფერს აღარ ცეკვებ, აღმინისტრაცია, აღარაფერს! ფულებსაც მექთად იღებ უსაქმობისა-თვის, უსაქმო აღმინისტრაცია!

— მართალია, მართალი! ჩურჩულებდა თავის-თვის პუდოვის აღმინისტრაცია.— მართალი არაფერი სათვის და უსაქმობისათვის კიღებ ჯამაგირს.

მუდამ დღე ფანრით ექცებდენ ქუჩაში სოც.-დემოკრატია, თუ სოც.-რევოლუციონერს, რომ ქალაქიდან გადახსახლებით. ან კინგში ჩასვათ.

— ათასი თუმან თითო კრამილნიკი! აცხა-დებდა აღმინისტრაცია, მაგრამ პუდოვის კრამილ-ნიკები თითქო კუმ ჩანთქა, მიწამ ჩაყლაპა!

— ოჲ, საზიზლარი ხალხი! გაიძახოდა აღმინისტრაცია.— ასეთი უბრალო საჯელისათვის ხმა ჩაი-ქმინდეს, ბუნტია და მლევარებას თავი დაანეცე!

საუბედუროთ, ფაქტი თავისის ამბობდა: პუდოვის მოქალაქენი ისხდენ წყნარათ, მშვიდობიანათ და არავითარ მიღრეცილებას არ იჩნდენ პეტრ-ბურგში შემზადებული მშვიდობიანობის დასარღვევათ.

— ეს ბუნტია! განაცხადა აღმინისტრაციაში. ისინი განზრახ არ ბუნტობენ, რომ ჩემ მოგვიბონ საშვალება სამსახურში დაწინაურებით. ეს ბუნტია ბუნტის წინაღმდეგ!

აღმინისტრაცია გულის სილრმემდე ააღელვა ამ მოვლენამ.

პუდოვის მაგალითს მიბაძეს სხვა ქალაქებში და ბუნტი ბუნტის წინაღმდეგ მოედო მთელს ოლო-ნეცის გუბერნიას. თითონ გუბერნატორიც დააფი-ქრა ამ ამბავმა. მუდამ დღე მოსლიოდა მას ასეთი მოხსენები:

— ბოქაული, პირველი უბნისა, გვერდებს იტ-კვებდა ლოგინე უსაქმო გდებისაგან და იმულებული ვიყავით, სააგათმყოფოში მოგვეთავსებია.

— გუშინ, სტრანიკი მხეცაძე შიმშილით მოკვდა. ის იმ ზომ გაზარმაცა, რომ შეეზარა ლუ-ქმის პირამდე მიტანა.

— მესამე დღეა, რაც უბნის ზედამხედველი ქრთამაძე მკვდარი ნახეს თავის საწილ თავაში. ამით მისოვის ყელი გამოეკრა სინდისის ქეჯნას.

გუბერნატორმა გადაწყვიტა, მიიღოს რაიმე ლო-ნისძიება ხელქვეითთა გამოსაფხიზლებლათ.

— უნდა უთუოდ მოვიფიქრო რამე, ჭარმის-თქვა მან და მართლაც დიდი ხნის ფიქრის შემდეგ მოიგონა კიდეც.

— ხალხი დაწყნარდა, დროა ცხოველებს მივ-ყოთ ხელი...

და მეორე დღესვე , საგუბერნიო უწყებებში “ დაბეჭდა სასტიკი ბრძანება:

, ჩემამდე მოაღწია ცნობამ, რომ ჩემდამო რწმუ-ნებულ ქალაქში პატიცებულნი შინაურნი ცხო-ველნი არღვევნ წესიერებას და ქუჩებში გამოდიან ადმისი სამოსლით, ანუ უკა ვსტევთ ტიტოლები. ესცნობ რა ამას შეუწყნარებელ მოვლენათ, წინა-დადებას ვაძლევ ჩემ ხელვეოთებს, განსაკუთრებუ-ლის ენერგიით ადვინონ თვალ ყური, რომ მომა-ვალში ბ-ნი ცხოველნი გამოდიოდენ აღნიშნულ ფორმის სამისელში: ცენტრი,— შარვალსა, ულეტ-სა და პიჯაპში გამოწყობილნი. ძროხები— იუბებსა და ჩითის კოფეტში, პანაპით, ძალოები და კატები, — ჩიხებში. ამ დადგენილებათ დარღვევისა-თვის თითოეული ცხოველი დაისჯება სასტიკი სას-ჯელით, თანამათ საგუბერნატორო წესებისა“.

ტირილითა და ხელვინით უყრიდენ ცხენები ფეხებს ვიწრო დიოგანალის შარვლებში. ძროხები ტანჯითა და ბდავილით იცვამდენ ახალმოდის იუბ-ებს მოწურული კარსეტებით. ძალებმა ლრებაც დაწყეს, მძგრამ მიხვდენ, რომ ძალა სხვათ მხარეს იყო და ბედა დაემორჩილენ.

, საგუბერნიო უწყებებში“ კი მეორე, უმეტეს სასტიკი განკარგულება დაიბეჭდა:

, გუშინ ჩემ მოწამენი გავხდით ყოვლად სა-ზიზლარი და უზნეო სანახობისა! ქალაქის მოედან-ზე, იქ სადაც აუარებელი ხალხი იყრის თავს, სა-დაც დაციან მოსწავლე ქალ-ვანი, რამიღენიმე ბე-ლურაები ურცხვად ეარშივებოლენ თავიანთ ქალბა-ტონებს. ასეთი მაგალითი მე შეუწყნარებლათ და სამწუხარი მოელენათ მიმაჩნია. ამიტომ წინადადე-ბას ვაძლევ პოლიციელთ, ყურადღება იქონიონ და ხელი შეუზალონ ფრთხოსანთა ამგვარ გახრწილე-ბას, დახტონ ყოველგვარი მეგობრულნათესაური გრძნობები მათდამი და დამნაშავენი მყისევ დააპა-ტიმრონ. ამ მიზნისათვის თითოეული გოროლოვი ვალდებულია იქონის ჯიბებში მარილი და ყოველ საქირო უმთხვევაში კულხე დააყაროს უწესებაში შენიშნულ ბეღურას“.

მთელს ოლონეცის გუბერნაში და რასაკირ-ველი ქ. პუდოვშიაც, მუშაობა გაიძლდა.

დილი ადრიან შენიშნავდით ქალაქის ქუჩებში მონავარდე პოლიციელებს, რომელიციც ცუდამალებითა და თვე-გამოლებით სუსტილებენ ქუჩებშის ძალებსა და ბეღურაებს.

— აბა ჩემიაზუზებულ მასტბრნიშვილებლათ! შე-ხედე ტიტოლი გამოვარდნილა ქუჩაში! გასახო-

დენ ერთი-მეორეს სიმწრის ოფლ გადახეთქილი პო-  
ლიციელნი.

— აი, აი შეხედე ის ბელურა თვალს უშევება  
მეორეს, აბა სტაცე ხელი! მარილი მაგას კუდზე,  
შარილი!

— აი ცხენი უშარელოთ! აბა პოლიციაში უკა-  
რით თავი მაგ ბუნტის თავსა და გუბერნატორის  
მოწინააღმდეგება.

მხოლოდ მწერნი და ქვეწარმავალნი გრძნობ-  
დენ თავს თავისუფალ მოქალაქეებათ მთელს ოლო-  
ნეცის გუბერნიაში!

მაგრამ მათხედაც მიდგება ჯერი!

მ. ლ. დორ.



## კომეტა

კომეტა მოდის! უფრთხილდით,  
ვერ გიხსნით შეტბოი მაგარი,  
გატყდება თავი, დიდი ხნის  
ნაზარდი ნაამაგარი!

— მე ვერას მიზამს კომეტა,  
მისი არც შემეშინება:  
ფაფაზი დიდი მახურაეს  
თუ დაჯახება ინება.

— ტყვილათ ტრაბახობ, თავადო  
ის მოდის გრძელი კუდითა,  
ვერ დაიფარავ მაგარ შუბლს,  
ვეღარც ფაფაზის ქუდითა.

— ლმერთია შემწე! ხუცესმა  
წარმოსთქვა, ხელ აღპრობილმან:  
არა გასწიროს მსახურნი  
ძეგ ლვთისამ, მხოლოდ შობილმან!!

— არა მამო, კომეტას  
მახეილი ასხამს უურები.  
იცის მან თქვენი, ლვთისაღმი  
ნასაქმი, ნამსახურები.

— ნეტავ რა არის ეგეთი  
ეჩ კუდიანი ვარსკვლავი?  
თუ შუბლი მარტო არ კიარა,  
რიღასთვის მინდა მხარ მკლავი  
გიორგი ამირაჯიბის,  
არვინ შობილა მამკლავი


— ეკ რედაქტორო, ძეირფასო  
რაინდთა მისაღარეო,  
კუდი აქვს შენსა მუშტებზე  
უფრო დიდი და მწარეო,  
დაგჩაგრავს, თუგინდ გრგო  
და ნესტორიც მოიხმარეო

— რა ბუზებია კომეტა!  
(პართენმა დაიტრაბახა)  
ისეთი ცილი დაცეწაშო!  
ოჳ, ნეტავ ერთი მანახა!!!  
— არა კეთილო, ეგ ხერხი  
ფუჭია იქ და ურგები:  
ვეღარ გაუძლებს იმს კუდს  
იქვენი ნაკადი ზურგები.

— რის კომეტაო, რის ჭლაკვა,  
რის პრასა ნიახურია.  
მაშ უურნალისტი არა ვარ,  
ცილინდრი არა მხურია!  
— ქაოთველი უურნალისტიო?  
ოჳ რა ხემარა ყოფილხარ..  
მოგყლავს, მავ, თუმცა სხვებსაცით  
მაგარი შუბლით შობილხარ

— მე კი მგონის, კომეტა,  
ვერც კუდს მახლებს და ვერც ხელსა  
სარდაფში როკორ მომნახავს  
შხირულ არტასტს, ქართველსა  
— რას ამბობ, ძმაო, მის რისხეს  
ვერსად ვერ დაემალები,  
ბევრი უნახავს მას თქვენზე  
უფრო ლოთი და მათვრალები.

ეშმაკი





## მ ე ს ტ ვ ი რ უ ლ ი.

(ვეძღვნი ქუთათურებს).

მომწყინდა ფოთში ცხოვრება  
გულ მოკლულს გასაჭირითა,  
და ქუთასს ვესტუმრე  
ჩემა კამანჩა-სტერირითა.

დავყვევ კარ-და-კარ, ქუჩებსა,  
ხან ჩუმათ, ხან ლილინითა  
და შევაწუხე უნც-შემხვდა  
კვლევა ძიება კითხითა.  
მსურდ გამეგო ამ ქალაქს  
რომ იხსენებინ ქებითა,  
მართალი იყო, თუ ისიც  
ავად არს რამე სნებითა.  
პირველათ თეატრს ვესტუმრე,  
ეშმაკურ მორი დებითა,  
დავაკაუნე კარები  
და, კასირს მოკრძალებითა  
გარდავეც ჩემი მოწმობა.  
თან პასუხს მოთმინებითა  
ველოდი... შესვლა შემძლო  
მხოლოდ იმასი ნებითა.  
მაგრამ სახეზე უცნობსა  
შევატყე შეწყინებითა  
მხოლოდ გულის თქმას მალვადა

ეშმაკის მორიდებითა.  
და ბოლოს მოკლეთ მიბრძანა:  
— ნება გაქვთ, შებრძანდებითა,  
თუმც ეშმაკს სხვა მოწმობა აქვს  
და მიტომ გვეეჭვებითა.  
მე სიტყვა არ შევუბრუნე  
და მყისე აჩქარებითა  
შევალე კარი, შევედინ მეტად  
მუშური ბრწყინვალებითა.  
ვნახე სამშობლოს „არდვენ-ლენ  
ამ „ახალთ-ხალ“ დრამას  
ალბათ უკეთ თუ შესძლებენ  
ასჯერ ნათმაშს ამასა.  
ვარგოლა ლეონიძეი,  
ქეთევანს უქებთ თამაშსა,  
ხილშია შევილიც მომწონდა,  
კარგათ ხმარობდა ყმასა.\*  
შახიც ნამდვილათ შახობდა,  
სუსტობდა ვით შვენს მამასა,  
და მისი ქალიც ქალობდა  
წუხობდა ტუკეთა ტანჯვასა.  
ხალიც-ე ძან თხლათ იყო,  
ძეირათ ნახავდით „დამასა“  
ალბათ ბალებში ვიდოდენ  
სატრუქოსთან თხავდენ დრამასა.  
მოსწავლები კმაროდენ  
სიმართლეს ვატყვი ამასა,  
გალლიდან გადმომცეკვალნი  
გრძნობით უცეკვდენ თამაშსა,  
გათავდა: მეც გზას გავუდექ,  
სკოლებასაკენ ვიარე  
ბევრი ამბავი გავიგე,  
ბევრი რამ გავიზიარე.  
გავიგე ერთი უჩიტლის  
ამავე სამგლოვიარე,  
ამანაგთ მტერი ყოფილა  
მათ ჭირის არ მოზიარე.  
როცა სურს რამის გაგება  
მაშინ მათენ არს მოაჩე  
გაიგებს. უფროსს ახარებს  
ჩაჩუტობს თურმე მწუხარე.  
ამ ხერხით ლომობს წინ სვლასა,  
სხევების სიავის მდომარე  
გაშა მას! რომ სიცოცხლითვე  
თვით გაუთხრია სამარე.  
წიგნთ-საცავ სამეოთხველოსაც  
ვესტუმრე უცხო სტუმარი  
შევალე კარი... ვიხილე  
გამგე მოწყენილ-მდუმარე.  
ვკითხე: ძმივ რა დაგმართვია,

\* ) „ყამა“ მეტრული სიტყვა. ქართულათ ხანჭალი.

რამ ჩაგაფიქრა, რა არი?  
 მან მიპასუხა: „დამეხსენ,  
 დაპნეული მაქვს დავთარი.  
 დამტყუეს ყველა წიგნები,  
 აწ ვარგებული არ არი.  
 „ზალოგათ“ ქუდებს სტოვებენ,  
 მომდინ უზომო ზარალი.  
 ამ ქუთათური ვაჟების  
 სინდისი გაქრა ვით ქარი  
 მატყულებენ... რაღა ვქნა  
 ჩემო ძავ, აბა მითხარი?  
 შე ჭკუს რათ ვასწავლიდი,  
 ვიცან სალარი არ არი,  
 ვარჩიე ამის შესახებ  
 ეშმაქს მივართვა უსტარი.  
 აწ ქმარა გუდა დაწეუტოთ  
 ღილან დაუდოთ საზღვარი  
 თუ დატრით კიდევ უშმუროთ  
 ქუთაისს შესამკობარი.

ტლინკაძე.

## რა წელ შეა!

(სამი სურათ შეეგარებულის ცხადებადან)  
 სურათი პირველი.

(მოქმედება სწარმოებს რეინის გზის სადგურზე. ღილაა.  
 მეზაგრები მარაჟების მისვლას უცილან.)

**საზა.** (თავისთვის) ნეტავ როდის მოვა ეს ოხე-  
 რი მატარებელი! ფუუ! საათ ნახევარი ჰკლებია!  
 გული გამიწვრილა ამოდენმა ლოდინმა. ნეტავი ნა-  
 ცნობი შაინ ც გამომჩნდეს ვინმე, რომ ლაპარაკში  
 გული გადავაყოლო, (ამ ღრის პლატფორმაზედ  
 გამოჩნდება სოლომანი თავიდან ფეხამდის ტალაში  
 ამოსერილი).

**სოლომანი.** (ნასილიქს) აი აქ დადევი, შენ  
 კი წადა და ბილეთი აიღევი.

**ნასილჩიკი.** რომელი კლასისას. ინებებთ  
 ბატონი?

**სოლომანი.** მეორე.

**ნასილჩიკი.** ეხლავ მოგარომევთ. სოლომანი  
 ბუფეტისკენ წავა, მარა ამ ღრის შეაჩნევს მოსე-  
 ირნე საშას, და უძხის).

**საზა.** (ხელის ართმევს და ჰკლინის) გამარჯვება  
 კაცი! ემსაჩი იძას ვნატრობდი: ნეტავი ნაცნობი  
 შემხვდეს ვინმე-შეტქა. როგორა ხარ ჰა?

**სოლომანი** რა მიქირს, ხან აქეთ ვედივარ  
 ხან იქით. როგორც ძალის ისე მათჩევენ.

**საზა.** საით ყოფილხარ? ეს რა მოგსვლია,  
 ტალაში ხომ არ გორავდი? (იცინის) ნამდინილ ტა-  
 ლაბაძეები მაგონებ აა!

**სოლომანი.** ტალახაძე კი არა, რატო მეტიც  
 არა გარ ჩერი უფროსების გადამკიდე. ერთ დღეს  
 არ გვაძლევენ მოსერებას: ხან აღმა გიზანენ პირს,  
 ხან დაღმა. ბრძანების მეტიც რა სტირდებათ. მოგა-  
 ჩერებენ ხელში ბრძანების ქალადს და რა მოგიგა;  
 იმას არ კითხულობენ. თვითონ კი თბილ კაბინე-

თიდან ფანჯარაში ვამოიყურებიან. უსამართლობაა-  
 ჩემო საშიო უსამართლობა! შენ რაღას შეები?  
 რატო წელს არ წასულხარ რუსეთში, ჰავი

**საზა.** (ამოიოხსრებს) ეს, ჩემო მეგობარო, იქ  
 წასელის ხელის ჭუჭყი უნდა, მე კი ვახვრეტილი  
 გრიოშიც არ მაბადია, რომ კევი ვიყიდო და ცხირ-  
 ხედ მიიკირა. აბა რითი წავიდე?

**სოლომანი.** რატო სტიპენდიის შოვნას არ  
 ცდილხარ, შენმა ამხანგებმა თუ კი იშოვეს?

**საზა.** ბევრი ვიჩალიჩე, მარა არა გამოდნარა.  
**სოლომანი.** შინგზი?

**საზა.** თასი.

**სოლომანი.** მაინც ღმერთმანი, რა მიზეზია?  
 პირ ველ ხარისხზე კი გაათავე და რატომ არ მოუ-  
 ციათ?

**საზა.** ეს ჩემო ძმაო, პირველი ხარისხი, ბევრს  
 არაფერს გრიშველის, თუ ან კომისიაში არა გყავს  
 ვინმე დამხმარე, ან ვინმე დიდ გამოჩენილ თავადს  
 არ იცნობ, ან... ესე იგი, მოკლეთ რომ ვთქვათ,  
 პროტექციას საჭირო.

**სოლომანი.** (გაჯავრებავ) ეგ ხომ უსამართ-  
 ლობაა, ეგ ხომ ადამიანის მასხარათ აგდება! რატო  
 ხმას არ ამოიღებ? პრესა ხომ სუფევს. თქვენ უნდა  
 ეცადოთ გამოაშელავნოთ ყოველივე, უნდა მოითხო-  
 ვოთ სამართლიანობა, უნდა იბრძოლოთ სამართ-  
 ლიანობისთვის.

**საზა.** (ღინჯათ) მესმის, ამხანაგო, შენი გულის  
 წყრომა, მარა ჩერი უნდა საუბედუროთ „პრესაშიც“  
 პროტექციას საჭირო, თორებ შენ მიტანილ უბრა-  
 ლო წერილსაც უადგილო ალაგს გაისცრიან.

**სოლომანი.** რალემდის უნდა დარჩე ეგრე?

**საზა.** რა ვენა? უნდა უცადო დროს და ილ-  
 ბალს, იქნება იქნება როდისმე ჩემს წინაც დაიჩი-  
 ქოს აქლემმა.

**სოლომანი.** (ცოტა სიჩუმის შემდეგ) პიკო!  
 ერთ რამეს გირჩევ.

**საზა.** აბა?

**სოლომანი.** ცოლი შეირთე. ვაჭრებს კარგ  
 ქალები ჰყავთ და სტუდენტი სიძეებიც უყართ  
 ფულს ბევრს მოგცემენ.

**საზა.** ერიძა... შენ სულ ბავშვი ყოფილხარ.  
 ასე გვინაია ცოლის შერთვა ბალში კიტრის მოწ-  
 ყვეტა იყოს. აქამ და ფული აქვსო ვინ იცის ისე-  
 თ ჯაჭვი გადავიყიარო, რომ მთელი სიცოცხლე  
 მომიწამლოს ჯერ ქალსაც, რომ იცნობდე და გი-  
 ყვარდეს მაშინაც ძნელათ უნდა ენდოს კაცი, არა  
 თუ ისე პირდაპირ შეირთოს. განა არ იცი იმათი  
 ამბავი? დღის შენ უცყარხარ, ხეალ სხვა და ასე.  
 რაზედ ავიტყიო აუტყივარი თავი, ჰა?

**სოლომანი.** (ნალელიანათ ამოიხსრებს) ეს,  
 უბედურებაც ეგ არის, ჩემო მეგობარო, კაცს ცო-  
 ლის შერთვა გინდოდეს, გილდებოდე, მთელი ღლე  
 იმაზე ფერრობდე და თანაც გეშინოდეს.

**საზა.** (მხიარულათ) შენ რაღაც სხვა ჰანგზე  
 მდერი ჰა? ხომ არავის გადაეკიდე?

**სოლომანი.** (ყოყმანით) არა მაგრამ.

**საზა.** მაგრამ რაღა? თქვი, ნუ მიმალავ.

**სოლომანი.** მაშ კარგი გეტუვი, მხოლოდ დავ-  
 სხდეთ, თორებ დაეიღალე.

**საზა.** დავსხდეთ.

**სოლ.** ეხლა-ეკ გამოგატყდები. მოელი ერთი

წელიწადია, სადაც მე ვმსახურობ იქ ერთი ქალი მიყვარს. ეხლა შემოლეომაზე ვაპირებ ჯვრის წერვას, მარა ძალიან ვშეშობ: ვაი თუ არ ვუჟვარდე და მარტო იმიტომ მექურდეს ისე, რომ გათხოვა უნდოდეს!

**საშა.** მაშ დარწმუნებული არა ხარ იმის სიუკარულში?

**სოლ.** დარწმუნებული ვარ იმაში, რომ სიტუეირათ და ქურეთ მარწმუნებს, მარა გულში რა უდევს არ ვიცი. მინდა როგორმე გამოყალო, მინამ ჯვარს დავიწერ, მარა როგორ? და რანაირათ? ეს ვერ მომიტიქრებია.

**საშა.** რაში უნდა გამოსცადო? სიყვარულში?

**სოლ.** დანამდეილებით უნდა გავიგო იმის სიუკარული ჩემდამი.

**საშა.** მაშ აღარ ხუმრობ ა. ცოლიანი კაცი უნდა გახდე ჰა? სასიამოენია.

**სოლ.** დრო არ არის თუ?

**საშა.** მაშ შენ გამოცდა გინდა იმ ქალის?

**სოლ.** უსათუოთ, და იმედია, ჯამეშმარები.

**საშა.** მე ვეცნობ იმ ქალს?

**სოლ.** არა.

**საშა.** არკ მინახაეს?

**სოლ.** შეიძლება გენახოს.

**საშა.** ჰყავს ვინმე?

**სოლ.** ერთი ძმა ჰყავს ჩემოდენა და ქვრივი დედა.

**საშა.** სადა ცხოვრობენ?

**სოლ.** იქ, სადაც მე ვმსახურობ.

**საშა.** (ცოტა ფიქრის შემდეგ) იყი, სოლო, ადვილია იმ ქალის გამოცდა. თუ შენც მოიშონებ ჩემს აზრს.

**სოლ.** (მხიარულათ) შენ გენაცვალე მიშველე რამე, აბა როგორ?

**საშა.** მე ვკისრულობ მაგ საქმეს, თუ შენც ყოველისფერში მხარს დამიტერ

**სოლ.** ვინ თავ მკვდარი არ დაგიჭერს, ოღონც მომიხერხს რამე.

**საშა.** მაშ აი ესრე შეიძლება იმ ქალის გამოცდა. შენ უნდა გამაცნო ის ქალი, ან სხვა ვინმეს-თან უნდა მიმიწერო წერილი, რომ უსათუოთ გამაცნონ. მე ერთი-ორი კვირა დაზირები იმ სოფელში, ვისთანაც შენ მეტყვი, განუტადებ ჩემს გრძნობებს, აუსნი სიყვარულს, იმის ძმისაც და დედასაც, გამოუტადებ, ვითომ ძალიან მომეწონა, და შერთვა შინდა. როდისშე შეზნედაც ჩამოვაგდებ ლაპა რაკს, გაძაგებ, წახაოთ რა შთაბეჭილებას მოახდენს. თუ დამთანახმდა, ხომ არა ჰყავარებითარ და თუ უარი მითხრა, მაშინ მართალი იქნება და ერთ შშევინერ დღეს ართავენი გამოვეკხდებით, გამოვუტყვიდებით ჩეკე ეშმაკიაში. ამასც გეგეტყვი, რომ ჩემს თავს მდიდრათ მოვაჩენებ და შესამე კურსის სტუდენტათ. შენ კი ამ ორი კვირის განმშმალობაში იმ სოფელს არ უნდა გაეკარო. მხილოთ ესე შეიძლება იმ ქალის გამოცდა. რას იტყვი, მოგწონს თუ არა?

**სოლ.** (აღფრთოვნებული) მშვენიერი აზრია, ჩემი საშეკრი, შვევიერი. მთელი დღე და ღამე, რომ მეფიქრი ვერ მოვიგონებდი. წერილს მიგიწერ აქაურ მღვდელოთან. ჩემი ძალიან მეგობარია, მეტს ხასელს „ჩიტი ბულას“ გმახიან, ძალიან ჟყვარს

გადაკვრაც. ის ცყველაუერს მოახერხებს, თითონ მიგიყვანს იმათსა და გაეაცნობს, ან თითონვე დაიწყებს მაქან კლობას. მხოლოთ ეს უნდა გითხრა: წელან, რომ თქვი უნდა გაძაგოვო, შენ ისე უნდა მოიქცე, ვითომ არ მიცნობ. იქ ჩემი სურათია და როცა ნახო: ამის ისტორია ვიცითქო. რასაკირებლის ცნობის მოყვარეობა გაიტაცებს და ჩიგაცივ-დება. მხოლოდ მაშინ დაიწყე, რაც მოახერხო.

**საშა.** (ხუმრიობით) ბრავო, სოლომონ! არც შენა ყოფილახარ მამა-აბარამის ვირ... უკაცრავათ შემცდა, ბატყანი (იუნის).

**სოლ.** ნეტა ვიცოდე რას იტყვის.

**საშა.** (სურიოზულათ) ბიჭი, მართლი, რომ შემყვარდეს და კომედიის მაგივრათ მედა შენში დრა-მა მოხდეს?

**სოლ.** (ეჭვით) რას მიჰქარავ?

**საშა.** (იუნის) კარგი ხო, ეხლავე ეჭვები ნუ დაგებადა, არავინ წაგარმევეს. ეხლა-ე- წავიდეთ თითო რამ... (ყელზედ თათს იკრავს) თარებ ყან-კუატოს ცეცხლი ეკიდება ამოტენა ლაპარაკით.

**სოლ.** წავიდეთ, წავიდეთ (ხელი ხელს გაუყრიან და ორთავენი გადინ).

(ფარდა)

(ნადანინით)

ვით დედოფალა ბავშვა ტიტინაშ დაშიმსხრივეი მთრთოლვარე გული და თან თამამათ, ამპარტავნულათ განაგრძე შვება და სიხარული... შენი კასკისი კვლივ ჯიბრით საესე წერიალებს, თრთოლას, ვით ვერცხლის ზარ, შენი თვალებიც გაბრწყინებულა, ვით ცის კამარა ტკბილათ მღიმარი..

მარა ნუ ჩეარობ!.. ამ დღესასწაულს მალე დაჩრდილავს შავი ლრუბელი, უზრუნველ კისკის, სიყვარულის ჰანგს მალე ეშვევა შავ ფიქრთა ხელი... ჩემს მაგიერათ დრო დაგსჯის შენა, ჩემს წილ მაღლობას ის გადაგიხდის... ხომ იცი წელი წელაწადს, მისდევს დრო მიდის, მიდის... უმჩევლათ მიქრის. სიბერის უძი, ვით შავი გველი, მოგვარება გულის შემარი

და ვერცხლის ფერათ გადაგებულა თმა თავისაწნავი დღეს გიშრის მდარი... და გაილვიძე უცე კაეშნით, ამ სიცილ კისკის ძილათ დასახავ, მარა ნეტარ დროს ვერ დაიბრუნებ იმ ბეჭნიერ წუთს ვერა, ვერ ნახავ!.. ვინ, ვინ ჩაგიერავს უამს სიბერისას, ვინ დაგავიშებს კოცნით შავ წამებს, სიყვდილის შიშით ანაძგერს შენ გულს ვინ დამშევიდებს, ვინ დააამებს?

ნუ თუ არ დაგცემს თავს ზარს, რას ნახავ შენი ცხოვრების არარაობას,

როს მოიგონებ მიწაში ჩაფლულს  
აზრსა ცხოველსა და დიად გრძნობას?..  
მე კი სუნჯეს სიყვარულისას  
ფრთხილათ მოუვლი, თაქ დავკვდები,  
თათეულ წერტილს ამ წმიდა განძის  
შემოვევლები, გადავადნები...  
დე, დღეს ვიტირო ვით ბავშვმა ჩეილმა,  
სამაგიროო ხვალ ივმერლდება  
კვლავ ათრთოლდება სიამით სიმი  
და კვლავ ამესხმის ჩემს ქნართან ფრთხები...  
სიხარულს, სევდას ერთად შევაწინ,  
თაიგულს შევარავ ცხოვერების ბაღში  
და სილამაზეს მექლ მოყრილ დავსვამ  
ხვლოვნებისა წმიდა ტაძარშ ...  
და ღდეს შეწი ხსენება, სახეც  
წერთისოფელში აღარ იქნება,  
შენი გულმკერდი და ქორფა ბაგე  
და შევმიწლება, ალებრ მიქრება, —  
იქნებ იმ ხანათ ჩემი ლექსები  
შენს საფლავის ქვას ვინმემ დამლეროს,  
და ვით ამ დღემდის, იმ წამსაც ჩემებრ  
წმიდა გრძნობები ქნარჩე აქლეროს..

## 8. მალაქიაშვილი.

### შოთლოვიური გასამართლება (ქადაგი შედეგენურ შა)

არც შელექედურის ინტელიგენცია ჩამორჩა ჩვეულნის სხვა ინ ჟელიგენტებს და წერა კითხების საზოგადოების სასარგებლოთ 22½ აპრილს გამართა ეგრეთ წოდებული „ზოთლოვიური გასამართლება“.

უნდა გვნახათ ქ. მელექედურის ქუჩები, რომ ნათლათ წარმოვედგინათ, თუ როგორის გაასქეცებულის ინტერესით ებყრობა ხალხი ამგვარ გასამართლებს და როგორის სიყვარულით წერა-კითხების საზოგადოებას.

არა თუ უზარ-მაზარი შენობა თეოტრისა, არა-მე ასლო-მახლო მოენდები და ქუჩები, სახლის აივნები და სახურავებიც კი გატელით იყო სადღესასწაულოდ მორთული ხალხით. პატარა ბიჭები ქუჩის ხეებზედაც შეხინულიყვანებ და იქიდან უფალოფალებლენ დღევანდელი გმირის ჩამოტარებას. ტრამვაისა და ეტლების მიმოსვლა, მოავარ ქუჩებზე მაინც, თითქმის შეჩერებული იყო. წესიერებას, რა-საკვირველია, თითონ ხალხი იყავდა და უნდა ითქვას ჩინებულათაც იყავდა. ერთი სიტყვით მოელი ეს სანახობა ისეთ დიღსა და საიშველ შთაბეჭდოლებას ახდენდა, რომ თვით, ;დროებისელი“ ნაცარ-ქექიაც კი, ამა შეძლევ ორიოდ სანუგეშო, დღიურს“ უძღვნიდა თვის მყითხევლებს.

ნაშეუადღევოს სამ სათხე ჩამოატარეს, დღისა

და მკვიდრ რკინის გალიაში შვდომარე გმირი დღე-ვანდელი „გასამართლებისა“ ცნობილი ტრედიმო გველაძე.

თავისი გრძელი თითებით ის მაგრა ჩასკიდებოდა გალის რკინებს, მახვილი კბილებით დაუზო გავათ ღრღნიდა ის მოაჯირებს და ცბიერ გველურ თვალებს გესლიანათ აცეცებდა აქეთიქით. პატარა ბეჭებმა ერთ-ხნიბით ყისინ დააყრეს, მაგრამ, როუ ა მოწესრიგებისაგან შენიშვნა მიიღეს, დაწყნარდენ

— რას ერჩი კუტა, გალიაში რომ უდანა კაცი არა თუ? შენიშვნა ერთმა ჭაბუქმა პატარას.

— კაცი თუ ყოფილიყო, არც იქნე ჩააეუდენ! მიუგო მოუფიქრებლათ უმაწვილმა, მაგრამ გალის მდგმურის დაცინებს კი თავი გაანება.

თეატრის მოედანზე და მათ უმეტეს თითონ დარბაზში ტევა არ იყო ხალხისა. გეერნი, უბილე-თოდ დარჩენილნი, მოითხოვდენ გასამართლება გარეთ, ღლონა ტების მოედანზე<sup>+</sup>, მომხდარიყო, მაგრამ ჯერ-ჯერობით არც ამდენი თავისუფლება არის ქ. მელექედურში და ამიტომაც მათი სურეილი დარჩა, ხმად მდალადგებლისა უდანოსა შინაა.

ყოვლად შეუძლებელია, აქ ამ პატარა წერილში, მოვათავს ყოველივე ის, რაც დღეს თეატრის დარბაზში მოხდა, ეს მოითხოვს გაცილებით მეტს დროსა და სივრცეს. ამისათვის ჩენ მოვიყუანთ ბრალმდებლის ანდუფაფარ ქარჩხავაძის და დამცველის მაქსიმე ქექაძის სიტყვებს, სიიდანაც მკითხევლი ჯერობათ გაითვალისწინებს ამ ორიგინალური გასამართლების დედა-აზრს.

საღამოს ექვს საათზე გაიხსნა სამსჯავრო, შემდგარი ხუთი მოსამართლისა, ორი ბრალმდებლისა თხო ვექილისა და 13 ნაფიც მსაჯულთა თანადას. წრებით.

ბრალდებულის დანახვაზე ხალხში ჩინქოლი შეიქნა. მოსალანდნებლი უბედურების თავიდან ასა-ცდენათ ის გალიაშივე დასტროვეს.

თავმჯდომარე. ბ ნონ ნაფიცნ მსაჯულნ და მოსამართლენო! თქვენს წინა შე სდგას უჩვეულო სურათი; შემთხვევა ამის მაგარი ჯერ არ ასოვს კაცობრიობის ისტორიას, მაგალითი მსგავსი ამისი არ სმენია არავის. თქვენს წინა შე სდგას აღამინი მხეცი, ანუ როგორც ხალხი უშოდებს „გერლა-ერა“. თქვენ უნდა გაითვალისწინოთ ყოველი მისი მოქმედება, ასწონ-დასწონით მისი გამიზნულობა, მისი ნებისო-უნებლივობა, მისი ზარალ-საჩვენებლიანობა, მისი უყველევგარი მთავრე. დაეკითხეთ მრავალგზის თქვენს სინდის პატიოსნებას და დასდოთ მსჯავრო. დამერწმუნებით, თუ რა დიდ-მნიშვნელოვანია ჩვენი ტანჯული სამობლოსათვის ამ კითხვის ჯეროვანათ განათება, მისი ყოველ-მხრივი აწონ-დაწინა და მასზე სამართლიანი მსჯავრის გამოტანა. ამისათვის მოითხოვ თქვენს ყურადღებას.

სიტყვა ეკუთნის ბრალმდებელ ანდა ყაფარ ქარ-  
ჩხაგაძეს.

ხალაში ჩურჩული მისწყდა ყველანი მოუზმენ  
ლათ მოელიან ბრალმდებლის სიტყვებს, მისი საბუ-  
თების მოსმენას.

ტრიბუნაზე გამოდის ახალ გაზრდა შავგრემანი,  
მაღალ-მაღალი ყმაზე ილი.

**ბრალ მდლებელი ღრმულნო მოსამართლენო**  
და პატიოსანნო მსაჯულნო! გულმოდებინებით მო  
ვისმინე სიტყვებით თავმჯდომარისა გულისყურ ყვავ  
ხმა ერისა, იყსწონ-დაგსწონე საქმენი ბრალდებული  
სა, თანახმად ჩვენი ეროვნული კანონებისა და აი  
განსახივრება ყოველივე ამისა მზადა მაქვს თქვენდა  
სასმენად.

მაგრამ გთხოვთ მიბოძოთ ნება, შევეხო სავანს  
ორის მხარით: ზოოლოგიურისა და სოციოლოგიუ-  
რის.

ბრალდებული ტრილიმო გველაძე იშვა სრუ-  
ლიად ნორმალურ ადამიანთა ოჯახში აგრე თომ-  
ციად წლის წინათ. უკანასკნელ წლებამდე, სხვა  
ოჯახის წევრებთან ერთად, ის აწარმოებდა ისეთსავე  
ცხოვრების განვითარებას, როგორც შეეფერება  
ცოტად თუ ბევრად ნორმალურ განსახივრებულ აზ-  
ნაურს, რომელთა ჯგუფს იგი ეკუთვნის.

ცხოვრების მიმღირარებათა ცვალებადობამ,  
მას დაუკარგა ნიადაგი არსებობისა ადამიანთა შო-  
რის, წარიტაცეს იგი ბორიტ ინსტიქტთა მდელვა-  
რე ტალღებმა, დაიმონაცეს უზამს მიღრეკილებათა  
მკეთრმა გავლენებით, ზემოქვეს მხეცურ ინსტიქტთა  
მოზღვავებულმა ზვავებმა და მისცეს იმგვარ ცხოვ-  
რების მორეგს, რომელშიაც ის ბანაობდა როგორც  
მხეცი სადაც მან თითქო დაჭვარგა ყოველივე ადა-  
მიანური, თვინიერ მხოლოდ სახისა.

მაგრამ, ბ ნენ მოსამართლენო და ნაფიცნო  
მსაჯულნო, ეს არის მოქმედება გამიზნული, მოქმე-  
დება სარგებლობისათვეს ნაძრახი; ეს არის მიტრე-  
კიონება მან კერძი, მოქმედება ოქროისა და დიდების  
მოყვარულისა, მხეცუბის სამოსლის ქვეშ ჩაღვილი.

იქვენ მოგხსენდებათ, ბ ნენ ნაფიცნო მსაჯულ-  
ნო, რომ მხეცითავის არ არსებობს კანონი, არ არ-  
სებობენ არაეთიარი ზენობრივი ნორმები და ამისა-  
თვის არც მოეთხოვება მათ მოქმედებას ანგარიში ამ  
მხრივ. ი ა რა მოსაზრებით გაეხვია ბ-ნი ტრილიმო  
გველაძე მხეცის სამოსელში, ი ა რაუმ გვიტკი  
ცემს ის თვის ნადირობას. მე ღრმათა მწამს თქვენი  
შორს მხედველობა, თქვენი დაკვირვება, თქვენი სა-  
მართლინობა გახსენებთ ბატონებით მის მიერ ამო-  
წყვეტილი ოჯახობის ამბავი, გაიხსენეთ მის მიერ  
მოტაცებულ საქონელთა ბლავილი, გაიხსენეთ მისი  
სოფლებში თარეში, გაიხსენეთ მისი მეურმეებზე იუ-  
რიში, მისი ხშირი სიმთვრალე, გაიხსენეთ ყოველი-  
ვე ეს და თქვენთვის აშარი იქნება, რომ ნამდვილ,  
წმინდა მხეცის არ შეუძლია ამდენი ჩარილი მიაყე-

ნოს ქვეყანას. თქვენ გაიხსენეთ, რომ ჩეილ ბავ-  
შეთა წინაშე თვით მრისხანე დათვიც კი დაბლა უშე-  
ვებს ამართულ თათს, რომ გლეხთა ევეჯეულობას  
არც მგლები ეტანებიან მაგრე რიგათ. ბრალდებუ-  
ლი გველაძე კი დაუზოგავთ ძარცვადა დუქნებს  
და ხურჯინებით გაქმნდა იქიდგან როგორც ჩა-  
შაქარი, აგრეთვე სხვა მხეცითავის მოუხმარელი სა-  
ნოვაგად

დაუკვირდით, ბ-ნი მსაჯულნო, ყოველივე  
ამას და თქვენთვის აშარი იქნება, რომ ბ-ნი გვე-  
ლაძე, განგებ, სასჯელის ასაცდენათ იგონებს მხე-  
ცუბის, რომ ის არის ადამიანი მხეცურის ინსტიქ-  
ტებით და ამისათვის დასჯის ღირსიც. (დაუსრულე-  
ბელი ტაში).

**დამციცელი ქექაძე.** ბ-ნი მსაჯულნო და პა-  
ტივეცებულნო მოსამართლენო! ვიდრე ბრალდებუ-  
ლის უდანაშაულობის გამორკვევას შეუდებოდე,  
ნება მიბოძეთ, მცირე სხით იდამიანთა პირელ ყო-  
ფილ ასებობის დაუგურუნდე. ჩემის აზრით მხო-  
ლოდ ამ ექსკურსის შეუძლია ჩვენი მსჯავრის  
სწორ გზაზე დაყენება და აღნიშნული პრობლემის  
ახე თუ ისე ახსნა განვარტება.

მაშ ჩაიხსდოთ ისტორიის ჯურლმულში!

ჯერ კიდევ დიდებული მგოსანი ინდოელთა  
ერისა, წარლი დარგინი, იტრიუმიცებული, რომ ადამიანი  
წარმოსდგა ცხოველთა ჯიშებისაგან, რომ თქვენი  
უმორჩილესი მონა არის განვითარება უბრალო  
აურიკული მაიმუნისა. მართალია ბ ბო მე, უკი-  
დურების იდეალისტი, სხვაგარ ეხსნილი ადამი-  
ანთა განსახივრების ისტორიას, მაგრამ დღევან-  
დელი მავალითი ისეთი ძლიერი თვალსაჩინობით  
დაღადებს ყველივე ამის შესახებს, ბ-ნი გველაძე  
ისეთს მაგალითს წარმოადგენს თეორიის დასასამუ-  
თობლათ, რომ იძულებული ვარ, ქედი მოვიხარო  
მის წინაშე.

შემდგომად ინდოელი მგოსნის დარვინისა, იგი-  
ვე თეორიის განვითარა იანონელსა დრამატურგმა  
ფრიდრიხის ნიცშემ და დღეს მსოფლიო მეცნიერება-  
ში ამ თეორიის არა ერთო და ორი მიმდევრი ყავს.  
მე ვამტკიცებ, ბ-ნები, რომ მიტრიდო გველაძე არის  
ერთი იმათთაგანი, რომელიც არავიზმის ძალით ში-  
ნაგანი არსებით დაუგურუნდენ უძველეს დროთა წი-  
ნაპრებს, ხოლო გარეგანი მოხაზულობა არსებისა  
შეინარჩუნებს დღევანდლი.

აქ ბევრი მოსაზრება მოიყვანეს ბ-ბო იმის და  
სამტკიცებლათ, რომ კლიენტი ჩემი განზრაბ იგო-  
ნებს მხეცუბის, რომის ნამდვილი ადამიანია მხეცუ-  
რის მიტრეკილებით, რომ ამ ხერხით უნდა მას სა-  
ჯელი აიცდინოს და სს. და სს

სხვათა შორის ითქვა ისიც, რომ ის იტაცებს  
ისეთ სანოვაცებს, როგორიც არის მავალითად შა-  
ქარი და სხვა. სასაცილოა ბ-ნი მოსამართლენო,  
რომ სამწუხარო არ იყოს ასეთ მოსაზრებათა წამო-

ყენებით ბრალდებულის დამნაშავრო ცნობა. განა რომელ თქვენანს არ მოეხსენება ის მისწრავება ტკბილეულობისაღმი, რომლითაც განთქმულია ტყე-თა ჩენითა უმთავრეს მოქალაქე, ბი დათვი? დარწმუნებული ვარ, თქვენთვის აშერაა მისი თავლ-შაქრის მოყარულობა და ამიტომაც იმედი მაქს, ყურადღებას არ მიაქცევთ იმ მეცნიერულ საფუ-ძველს მოკლებულ ფაქტებს, რომლებზედაც დამცვე-ლი უთითებს.

აგრძელვე საჭირო განვმარტოთ ფაქტი ურჩებ-ზე თავდასხმისა. გარნაღა არ მოეხსენებათ, თუ რა ძნელია შიმშილი მხეცათვის! და აი ერთ შშენიერ დღეს ძალზე მშიერი ბ-ნი გველაძე წაშუდა გზალ მიმავალ ურქმს, უკეთ ვსტევთ ხარებს, რაღან მას აინტერესებდა არა ურქმ, ანუ მეურქმ, როგორც ასეთი, არამედ ხარები, როგორც უპირველესი სა-ზრდო ყაველგვარ მხეცათ.

უნდა აღვნიშნო აგრძელვე ის გაუგებრობა, რო-მელიც მთვრალობაზე ააშენა ბ-ნმა დამცველმა. დიახ! გასაკვირია, რომ დამცველს არ ესმის ბუ-ნების შეტყველების ძირითადი კანონები! მან არ იცის, რომ სიმორალე არ შეადგენს მხოლოდ ადა-მიანთა ლიტერატურას, რომ თვით აფრიკის სპილონიც იმზადებენ თავისთვის ეგრეთ წოდებულ მათრობე-ლის, ხოლო მაიმუნთა შორის მთერალობა უშეტეს ყვავის, ვიდრე ქართველ არტისტთა და ახალგაზრ-და მგოსანთა შორის. ბ-ნი გველაძეც შეიძლება მთერალი იყო და იყო კიდევაც ურმებზე თავდას-ხმის დროს, მაგრამ ეს სრულიად არ ამრკიცებს მის, თითქო ბრალდებული არ იყოს მხეცი აღამიანის სახით, არამ, დ იყოს აღამიანი მხეცის ინსტიქტე-ბით.

ბევრი, ძლიერ ბევრი რამ შემეძლო მეთქვა ბრალდების ყველი პუნქტის წინააღმდეგ, მაგრამ იმედია, პატივუმელნი მოსამართლენი და მსაჯულ-ნი უკვე აღნაშეულითაც დაქმაყოფილდებიან და საჯაროთ აღიარებენ, რომ ყველივე, რაც ჩიდი-ნა ტრიდიმ გველაძემ, ჩაიგრინა არა როგორც ადა-მიანთა მხეცური ინსტიქტებით, არამედ როგორც მხეცმა აღამიანის სახით.

ამისათვის, ბ-ნი მოსამართლენო და ნაფიცნ მსაჯულნო, გთხოვთ უდანაშაულოთ იცნოთ ჩემი კლიენტი, სრულიად გაამართლოთ ისა და მით უზ-რუნველ ჰყოთ სამართლიანობის პრინციპები. (ტაში).

ნაფიც მსაჯულთა საბჭომ ორი საბათის სჯა-ბა ასის შემდეგ გამოიტანა განაჩენი, რომლითაც ტრა-დიმ გველაძე ცნობილ იქმნა, როგორც მხეცი აღა-მიანის სახით და გამართლებული ურიცხვ დანაშაუ-ლობათა ჩადეგნაში.

ხალხი ძლიერ ააღელვა ამ განაჩენმა და შეუ-ხარე ტაშით დააჯილდოვეს მოსამართლენი.

#### მდიდარი.

P. S. აღნიშნულმა გასამართლებამ დიდი მო-

ძრაობა გამოიწვია აღმოსავლ ეთ გურიის მხეცთა შო-რის. მელიათა ხელმძღვანელობით, დათვებს, მგლებს, ტურებს, ფოტევერებს და სხვათა, პეტიცია შეუდგე-ნიათ და მცურთმევიათ სამსჯავროსათვის. ისინი ულ-რმეს აღმფოთებას გამოსთხვებენ ამგვარი გადაწყვე-ტილების გამო, კინაიდან თავს შეუჩაუხყოფილათ სოფლიან ტრიდიმ გველაძის მათ კორპორაციაში ჩარიცხვის გამო

მდ.

#### ც ნაღვლობ ძალი!

დილა ციმციმებს... არე მიდამო  
ზურმუხტრ ქათიბით შემოქარეულა;  
შნათობის უხვი ტურფა სხივები  
მდელოს წიაღში გრძნობით ჩაკრულა.

ციური ცვარი, მარგალიტივით,  
ვარდის კუკორზე ელავს, — ქათქათებს,  
ცელქი ნაკალი სპეკალ შხეფებით  
უხვათ რწყავს მინდვრის ზურმუხტსა კალთებს.  
გრწობისა მეფე ჩანგა აწყრიალებს,  
შაშვი ხის ტოტზე ტბილათ ქახვახებს,  
ფრთა ლაღი სიო ნაზის ტიტინით  
ეამბარება ფერად ზამბახებს.

ქვეყნიურ შეებით მტებარი და მაცერალი  
წარმტაც ბუნებას ვერ სტაცებს თვალსა,  
ეტრუფიალება იმის მშვენებას  
და განუსაზღვრელს ეძლევა წამსა.

მხოლოთ მარტო შენ შრომისა შვილო,  
ესე სურათი ვერ გაჯადოვებს,  
კრული სვე ბერ კვალ და კვალ დაგდევს,  
თვალთაგან ცხარე ცრემლებს გათვებს,

მაგრამ ნუ ნაღვლობ, ჩაგრულო ძმიო,  
შენთვისაც დაპკრავს ქამი ნეტარი  
და საზარ ღამის სუსხით გათოშილს,  
სხიეს გაღმოგაფრქვევს ტურფა ცისკარი.

დ. თურდოსპირელი.

#### იუიდება „შრომის“ სტამბაში


და აგრეთვი ცაც ზავნებათ მსურებელთ:

1909 წლის „აღმანახები“ 7 ნომერი  
და „მათრახი და სალამური“ 29 ნომერი  
ერთად შეუჩაული . . . . . 2-50 კ.



გ. რობერტი. ოქენე ხომ თანახმა ხარო ქ-ნო ზეინაბ, ამ საქმის განსაჩინოებისა?  
ზეინაბ. ოქენე, ბ-ნო ლამუშელი ისე ლრმათ ჩისწედით ჩემს გულის გრძნობებს, რომ მე არ ვ-  
თქმელი და არ უ საწინააღმდეგო ისაიური მაქს.  
კაფა. ოქენე რას იტყვიო ბ-ნო ოთარ, გორის ერისთავო?  
ოთარი. მ..ე..მ..მე დალ...ე..ვის წი . ნა..ლლ. მდეგი არ..ოო..დეს არა..

## ტრამვაის ცეოვრებიდან.



ბ-ნი მარწმუნავი სიუპრეზის უკადებს ქ-ნ გისს.

„მენავე! ეინტე „ხალხს“ მოცელინა!

დღესა ერთსა ხალხს“, სამშობლოს,  
მოცელინა სანახავი—  
ზღვის ტალღებმა ჭაობ კიდეს  
გამორიყა ძველი ნავი;  
ნიავქარი აქანებდა  
იმა ნავის თეორისა ალამს  
მუნ ჭაბუკი ვინწე იდგა  
მიუძღვნილა „ხალხსა“ სალამს.  
რას ნიშნავდა ეს მოვლენა?  
რა იყო მის ბედის წერა?  
შესკერძოდა ხალხი ალამს,  
კითხულობდა — ზედ ეწერა:  
„ჩემსკენ მოდით კალათებით,  
აქეთ კარგი მწვანილიო,  
კონტა ბიჭის მოკრეფილი  
ნავით გამოტანილიო —“

და იხილა ხალხმა სანახობა ეს: — იდგა ჭაბუკი ნაესა მას დაჯღლეულსა და მასვე ახლდა  
მხრარისანი ბურთის ტოლა არსება — სანჩო.

და ჭაბუკა მას მარჯვენასა იღლიას ქვეშ  
ეცყრი ტიკი, რომელსა არღა იდგა წვერი ვაზისა  
რამეთუ შეესვა მოწყურებულსა.

ხოლო ტიკა მას ინახებოდა ნადავლი უცხო  
ქვეყნიდან: — ქანდაკების ნამტვრევი და ნაგლეჯი  
ისმალეთის ასულთა მანდილისა. — რაიცა უხადჰყოფ-  
და ჭაბუკისა მისან ხელოვნებისა და შვერნიერებისა  
მოყვარულობასა.

და მოკერული პირი ტიკისა დახაზულიყო,  
რაიცა ნიშნავდა დაწერილს; რამეთუ ჭაბუკი იყო  
იყო მწერალი და არა გააჩნდა ეტრატი...

ჭაბუკი ეს, გაქრილი კიდითი კიდეს, იკვებებოდ-  
და ნიახურითა და კალამი მისი იყო გამხმარი ძირი  
იმავე ნიახურისა, რომელითა ჩახაზულ იყო ტიკია ა-  
ვიჩი

და განცხადები ამბებრ ალამშე აღნაშნულისა,  
ნაფი დატვირთულიყო ბალა-მწვანილითა.

და ხალხმა მან კალათებია არარ იყავრა, რა-  
მეთუ ნიახური თვითონ ჭაბუკა ეჭამა და დარჩენი-  
ლიყო გვირილა, რომელი წაიღო ხალხმა მცირედ —  
რწყილთა მცენართა სამუსარა.

და ხალხმა მან ზურგი აქცია სანახაობასა ამას  
და გამართა ბაზარსა სხვასა.

და დაშთა ჭაბუკი ნაესა მას დაჯღლრეულსა.

და დღესა მას ლამემიაცეა, ხოლო ლამესა დღე.

— მწყურის! — წარმოსთვევა ჭაბუკმა.

— შშია! — განიშვირა სანჩომ.

და მანვე — სანჩომ — ალალო გვირილი ბალაბის  
ძირი გამხმარი და დაასვერა ჭაობსა ნავისა ძირიდ  
მდგომარეობა შინა და დააწერა ალამსა თეორისა მეორე  
გვერდსა ასოებითა ფრიად მათვილითა: „რედაქცია“.

და ინუგეშეს მათ,  
და ალამსა იმასვე თეორისა  
დასწერეს განცხად ბა სხვა. —  
და ხალხისა შისაქცევად  
ტიკს ჩაბერეს, დაპკრეს ზარი —  
„მოდით ხალხო! — მოკლე ხანში  
გაისწება აქ ბაზარი;  
ფერათკები თეთრ ლარეს  
იყიდება იაფ ფასში: —  
შეგიძლიათ  
რომელიც გსურო, წყვილი ასში.  
რაღენობის პოლის ტილოც,  
საქონელი სულ გრანიცის  
დაეშურეთ — ვინც არ იცის!  
და მიიცენ მისდამი, ყოველნი, რომელთა მიქ-  
ევა ჯერ იყო.  
მაგრამ ფერჩატკები ნახმარ იყო და პოლის  
ტილო გაცეოთ.  
და დამთავრდა ვაჭრობა ესეცა უნაყოფოდ,  
და ფრიად დალვრემილ დარჩა ქაბუკი  
მხოლოდ სანჩისა ეპრია ალამი თეორი, რო-  
მელსაზედა იყო იმბეჭდილ ასოები მსხვილითა „რე-  
დაქცია“.

და განცხადებანი ლექსალ: —  
„აქეთ კარგი მწვანილი,  
„კონტა ბიჭის მოკრეფილი,  
„ნევით გამოტანილი“...  
და სხვა მიგვარა, ბევრი...  
და დამთავრდა ამბავი მცირე სანახაობისა მის.  
შეამიანი ბილილა.

### მათრახის ფოსტა.

ბათუმი. ა. ბელიძეს. არა ერთხედ და დაჭურ  
გვითქმაშის, რომ ესეცა წერილმან წერილებზე რეაქციას  
არ შეეძლა ზასების გაცემა და არც ასეთი წერილმანი  
წერილების უკან დაბრნებას კისრეფილისა.

თქვენ შინებ გსურთ შასებ, თუ კატომ არ იძე-  
კდება თქვენი ლექსები.  
ინტერ!

„ნეტავ რა არის სამყრო,  
რისთვის ან ვისთვის არსებულა?  
ვინც გაიძერობს და მელობს  
ის ხომ დიდებულია.“

უნდა მოგასესხათ, რომ მნედი სათქმედა, თუ  
რისთვის არსებობს სამერა, მაგრამ ადგილი სათქმედა,  
რომ არა ასეთი ლექსების საწერა.

„წარსულ წლებშია, იპ, დედა!  
რა „აფხანიკი“ მყავდია,  
ახლა რა ცოდვა გეწვია  
თოთქია ცულ თლია ჩაბრია“

თუ, დედა!.. წარსულ წლებში ვკანებ არც თქვენ  
წერდით დექსებს, მაგრა აზღა და, დედა! რადაც ცა-  
დგა გეწვიათ და ჰერცება დაგრწებითა.  
„ურინველო და ორფერთ ერთხელა

აშტყდათ ომი მწარდია  
წერდენ და გლუკლენ ქრომანეთ  
წილი ბლოგინი გახდია!“

თჲ, ღება! გნა თათან ვერა სეჭავო, რომ „ომი  
მწარდია“ და „ბლოგინი გახდია“ შეძრულ გზარებს  
უფრო ჰებაშ ვიდრე შეზიის გამოხატულებას! თჲ, ღე-  
ბაგ!

„ერთი ტრინელი იმათში  
ხა ხარებს სავაზე მარდი,  
სეითაც ძალას შეატყობს  
იქ გადასტ-გადატრინდა“

თჲ, ღებაგ! აბა რომელი ფრინველი გინხევთ ხა-  
სარებაეს და „გადასტ-გადატრინდის“ შევბოლეს? თჲ,  
ღებაგ!

„ოჲ ჯანუმ ბიზუმ ყარდაში,  
ასე ცოცვერება აერა,  
ვინც მიმართ დამურას  
იმას შეტრტებს თვეირა.“

თჲ, ღება! რისთვის გეტმანავთ და აქებნ თავსაც  
ატანგავთ! ამაზე სხევა რადა გვეკვემის;

თჲ ჯანუმ ბიზუმ ყარდაში, ღექსები თქვენი აეთა,  
გინაც მიაძღვის პირს . . . . .  
მგნია გმირა. შე თქვენ გარწმუნებთ, რომ მრო  
ზიო წერა უფრო ჩიგისძებათ, ვიდრე შეკზით.

სამტრედან, რეს. მადლობა! გიმხადებთ შერ-  
დდებისათვის, მაგრამ:

„ოჲ ჯანუმ ბიზუმ ყარდაში  
„შარადა“ უვარებისა,

„ტვინში ჩაესოს მკონგლია.  
ვითარლა ვით სადეისია!“

გორი. მწიგნობარს მართლია ქართული გრამა-  
ტიკა ხშირათ ხმარის უცხო სიტყვებში „ი“ „ს“ მაგი-  
გრათ „დ“ „ს“, მაგრამ „ე“, „კ“. კორის „ნ“ ცვლილ „ე“, და-  
რის „დ“ და „რ“. მეტის მეტი „დანაშაული“ და მწი-  
გნიბრძლია. „ამის მასებით აქვენ კამახუალთ უკა და-  
რის“ მი ქადაქე! თჲ ჯანუმ ბიზუმ ურდათ!

### შეჩილი რედაქციის მიმართ.

ბრო რედაქტორი თქვენ პატიცემელ ქურნალ მათ-  
რა და სალამურისა № 16-ში, მოთავსებული იყო სახალ-  
გომ საჩივარი საჩერლებზე „შემთხვევით დამტრე“. სი.

რადგან საზოგადოებაში ხმებია გაურცელებული, ვი-  
თომ იმ წერილის აერორი მე ვიყო, გთხოვთ გამოაცხადოთ  
თქვენ პატიცემელ როგორის, რომ აერორი მე არა ვარ  
და უამრავთ არა ბრალდებისაგან\*).

პატიცისცემით გრიგორი ფარესიამე.

\* „მათრახის“ რედაქცია არწმუნებს ცრუ ბრალდებ-  
ლებს, რომ კიორგი ფარესიამე არ ეცოცხის აღნიშნული  
ლექსი.

1910 წლისათვის 1910 წლისათვის

8 0 0 ლ 0 8 1 6 0 0 0 8 0 0 6 0 0

უთველ-კვირეულ წარმომისტურ უკრაინა



და სალამური

ყოველ-კვირეული, იუმინისფერული უკრაინა

თავმდებარება გამოიწვია 1910 წელი 10 კვირების შემთხვევაში

— სასალამური კრიკული —

უკრაინი წლიურით ღირს 5 გ. თვიურით 50 კ. ცალკე ნომერი 10 კ.  
ფულის გამოსაგზავნა ადრესი: თიფლის, ტიპოგრაფია T-ვა „შრომა,  
ვასილი კარამანიუჩი ბოლკვაძე.

# საკვირველი ქაგაცი!

უკავი. მოყვირონის უკურავის



გამოლელი. ლმერთო ჩემო, ლმერთო ჩემო, შეხედეთ ცოცხალი ინტენდანტია და ციხეში არა  
ზის, თავისუფლაო დაღის!!